აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აგრარული ფაკულტეტი

მის: თამარ მეფის ქ. № 59
შერვაშიძის ქ. #53
4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 277766)
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

დამტკიცებულია:
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აგრარული ფაკულტეტის საბჭოს
დადგენილებით 2017 წლის 12 დეკემბრის ოქმი № 7

ფაკულტეტის დეკანი: _____ პროფესორი ქეთევან კინწურაშვილი

აგრარული ფაკულტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

ქუთაისი
2017

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აგრარული ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა

2018-2024

დამტკიცებულია	_____
თარიღი	12.12.2017
ფაკულტეტის საბჭო სხდომის ოქმი N7	

სარჩევი

1. ფაკულტეტის ისტორია და მისია _____1
2. ფაკულტეტის ხედვა _____2
3. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები და სოციალური პასუხისმგებლობა _____ 3
4. არსებული სიტუაცია და გამოწვევები _____ 4
4.1. გამოწვევების ანალიზი _____ 4
4.2. გარემოს (ჩართული მხარეების) ანალიზი _____ 5
4.3. SWOT ანალიზი _____ 5
5. სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და შედეგები _____ 7
1.სტრატეგიული მიმართულება : სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება ___8
შედეგი 1.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლებისხარისხის და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება დასახული ხარისხის მიზნები მიღწევისთვის ---------- 9
შედეგი 1.2. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა----- 9
შედეგი 1.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების მაქსიმიზაცია---- 9
შედეგი 1.4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და საკვანძო გარე აქტორების კმაყოფილების უზრუნველყოფა ---------- 9
შედეგი 1.5. უნივერსიტეტში და შესაბამისად ფაკულტეტზე დანერგილია და ფუნქციონირებს სწავლების ეთიკური პრინციპების, პლაგიატის გამოვლინებისა და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის სისტემა _____10
შედეგი 1.6. სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევების ეროვნულ დონეზე გამოყენებადა საერთაშორისო _____ 10
2. სტრატეგიული მიმართულება ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება _____ 10
შედეგი 2.1. გაძლიერებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის აუცილებელი ქმედებები _____ 10
შედეგი 2.2. გაძლიერებულია საერთაშორისო თანამშრომლობა სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით _____ 11
შედეგი 2.3. გაზრდილია საგანმანათლებლო პროგრამების რიგი სასწავლო კურსების ინტერნაციონალიციის ხარისხი და მათი მომხმარებელი უცხოელი სტუდენტების რაოდენობა _____ 11
შედეგი 2.4. გაზრდილია ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო დონის გამოფენებში, ფორუმებსა და კონფერენციებში _____ 11
შედეგი 2.5. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვა ოპტიმალურად მიმდინარეობს და ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირებისა და ინტერნაციონალიზაციაზე მიმართული საქმიანობების ხარისხი უმჯობესდება _____11

3. სტრატეგიული მიმართულება საფაკულტეტო სერვისების და სასწავლო გარემოს განვითარება 12

შედეგი 3.1. ფაკულტეტზე დანერგილია სტუდენტების, აკადემიური, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე, მრავალფეროვანი სერვისები და ხდება მათი ეფექტიანი განვითარება 12

შედეგი 3.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების განვითარება 12

შედეგი 3.3. შემუშავებული და დანერგილია სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი 13

შედეგი 3.4. დანერგილია მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების (Lifelong Learning) სერვისები 13

შედეგი 3.5. უზრუნველყოფილია ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო პროგრამები 13

შედეგი 3.6. უზრუნველყოფილია შშმ პირებისათვის მოთხოვნებზე მორგებული სერვისების მიწოდება 13

4. სტრატეგიული მიმართულება: ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება 13

შედეგი 4.1. აუდიტორიები განახლებულია თანამედროვე აღჭურვილობითა და ინვენტარით 14

შედეგი 4.2. ფაკულტეტზე უფრო მეტადაა ხელმისაწვდომი დამოუკიდებელი მუშაობისა და სტუდენტების განტვირთვის კომფორტული სივრცეები 14

სამოქმედო გეგმა 14

1. ფაკულტეტის ისტორია და მისია

აგრარულიფაკულტეტიაწსუ–შიჩამოყალიბდა 2011 წლის იანვარში ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. (სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების გზით), აგრარული ფაკულტეტი შეიქმნა რეორგანიზებულ უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტების: "სუბტროპიკული მეურნეობისა და ლანდშაფტური არქიტექტურის" და "სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციის და ტექნოლოგიის"– შეერთების შედეგად. ამ მომენტამდე ფაკულტეტმა განვლო მეტად რთული, მტკივნეული, მაგრამ ღირსეული და სახელოვანი გზა. ეს გზა დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საქართველოსთვის საჭირო გახდა სუბტროპიკული მეურნეობის დარგის განვითარებისათვის სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება. ფაკულტეტის ფესვები კი მოდის თბილისიდან, როცა 1929 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი.

1933–1934 სასწავლო წელს საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში შეიქმნა სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი. შემდგომკი, რადგანაც სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილი იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ამ ფაკულტეტის ბაზაზე ქ. ქუთაისში 1952 წლის 26 იანვარს (მინისტრთა საბჭოს დადგენილება #481) ჩამოყალიბდა ქუთაისის სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი, რომელსაც ყოველწლიური 400 სტუდენტის მიღების კონტიგენტით გადაეცა შემდეგი ფაკულტეტები:

1. სუბტროპიკული მეურნეობის (სპეციალობებით: "სუბტროპიკული მეურნეობა" და "დეკორაციული მებაღეობა");
2. სუბტროპიკული მეურნეობის მექანიზაცია;
3. ხილის, ბოსტნეულის და სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია;
4. მეაბრეშუმეობა.საქართველოს მთავრობის 1959 წლის 11 აპრილის (# 282) დადგენილებით ქუთაისის სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი, სუბტროპიკული კულტურების გავრცელების ძირითად ზონასთან მიახლოების მიზნით, გადატანილი იქნა ქ. სოხუმში და მასეწოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ქ. სოხუმში ინსტიტუტი ფუნქციონირებდა 1993 წლის სექტემბრამდე. 1992–1993წ.წ. აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად უმაღლესი სასწავლებელი დევნილის სტატუსით აღმოჩნდ აქ. ქუთაისში, სადაც მან 1993 წლის 19 დეკემბერს აღადგინა სასწავლო პროცესი. თავისი სიტყვა თქვა ინსტიტუტის მონოლითურად შეკრულმა კოლექტივმაც, რომელმაც უმოკლესვადაში შეძლო ფაკულტეტების და კათედრების ფუნციონირების ორგანიზება და უკვე 1996 წლიდან დაიწყო სრულფასოვანი სასწავლო პროცესი. 1997–2005წ.წ. ინსტიტუტს და შემდეგ უნივერსიტეტს (2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით (#107) სუბტროპიკული მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში დიდი წვლილისა და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით (50წელი) ინსტიტუტს მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი).უნივერსიტეტში მოქმედებდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება და 6

ფაკულტეტი: სუბტროპიკული აგრობიზნესის; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის; სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის; ეკონომიკის; ტურიზმისა და საკურორტო სერვისის; საზოგადოებრივი პროფესიების.

1963-2006წ. წ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა თავდაპირველად სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის, ხოლო შემდეგ საქართველოს, სადისერტაცი ოსაბჭო, რომელზეც დაცული 670 დისერტაციიდან 107 წარდგენილი იყო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

აგრარული ფაკულტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის და პროფესიული განათლების რამდენიმე პროგრამას, კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან, თუ კერძო სექტორთან და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნით უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

ფაკულტეტის მისია შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ის ახორციელებს ყველა საფეხურის აკადემიურ და რამდენიმე პროფესიულ პროგრამას. პროგრამები შემუშავებულია აგრარული, საინჟინრო, ტექნოლოგიური და ტურიზმის პროფილის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის. ფაკულტეტი ეფუძნება რა უნივერსიტეტის ტრადიციებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს,ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.

ფაკულტეტი აცნობიერებს უნივერსიტეტისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას და თავის საქმიანობით ეცდება წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის, ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.

2. ფაკულტეტის ხედვა

ფაკულტეტის ხედვაა იყოს უნივერსიტეტის ისეთი ძლიერი სტრუქტურული ერთეული, რომელიც მზად იქნება თავის კომპეტენციის ფარგლებში მხარი აუბას უნივერრსიტეტის გამოწვევებს: იყოს ერთ-ერთი ლიდერი უნივერსიტეტი და იმავდროულად ჰქონდეს სულ უფრო მზარდი საერთაშორისო რეპუტაცია, შეძლოს მოიზიდოს და შეინარჩუნოს მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტები.

ფაკულტეტი უზრუნველყოფს რეალურ საჭიროებებზე მორგებული აკადემიური და პროფესიული პროგრამების და შესაბამისი ადამიანური რესურსების უწყვეტ და დინამიურ განვითარებას. ისე, რომ პარალელურად შეეძლოს სტუდენტს მაღალი ხარისხით შესთავაზოს მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისი უნივერსიტეტის ბაზაზე და შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისათვის.

ფაკულტეტზე განხორციელებული პროგრამები განვითარდებიან აქტიური კვლევითი საქმიანობის სასწავლო პროცესთან ინტეგრაციით და სამოქალაქო საზოგადოების (კურსდამთთავრებულები, დამსაქმებლები: სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვ.) ჩართულობით.

3. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები და სოციალური პასუხისმგებლობა

ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები განპირობებულია უნივერსიტეტის სამოქმედო იმ პრინციპებით,

რომლებიც ჩამოყალიბებულია იმ ღირებულებებზე დაფუძნებით თუ რას ველით საკუთარი თავისა და ერთმანეთისგან,რას ვქმნით საზოგადოებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით აგრარული ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპებია:

1. **პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე**- ფაკულტეტი იღწვის აგრარული სფეროსა და საზოგადოების ეკონომიკურად განვითარებაზე მაღალმოტივირებული სტუდენტების მოზიდვისთვისა და სამეცნიერო წრის გამორჩეული წარმომადგენლების პროგრამების განვითარებაში ჩართვისთვის,აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების საზოგადოებამდე მიტანისთვის.

2. **საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე, სოციუმზე ორიენტირება**- ფაკულტეტი ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების განვითარებასა და კეთილდღეობაზე, მხარს უჭერს პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განაწილებას საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო მიზნების მიღწევასა და განხორციელებაში თანამშრომლების ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად.

3. **ხარისხზე ორიენტირება** - მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლების ისე გამოყენებითი კვლევების და ფაკულტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში

4. **აკადემიური თავისუფლება**- ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში.

5. **ღიაობა და მრავალფეროვნების პატივისცემა**- ფაკულტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა.

6. **აკადემიური კულტურა**- უნივერსიტეტში არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს,რაც მეორდება ფაკულტეტზეც.

7. **გუნდურობა** - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალურობა, გუნდური მუშაობა, ჰარმონიული და დინამიური ურთიერთობები.

8. **სრულყოფილებისაკენ სწრაფვა**- ფაკულტეტზე ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა,რომელიც ქმნის საფუძველს ფაკულტეტის განვითარებისთვის. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და გამოკითხვების საფუძველზე ჩატარებულ კვლევებს, ფაკულტეტის გარეთ მოწყობილ ღონისძიებებში ჩართვას. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფენ არა მარტო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, არამედ დაინტერესებული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის მიწოდებას სხვადასხვა ფორმით (ფორმალური და არაფორმალური განათლება, ელექტრონული სწავლება, უწყვეტი განათლება, პროფესიული განათლება დასხვ.) ფაკულტეტი თავის ტრადიციებისადმი ერთგულებით და საზოგადოებასთან ურთიერთობით ისწრაფვის საკუთარი სრულყოფილებისკენ დასაზოგადოების დინამიკური განვითარებისკენ.

ფაკულტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განაცხადი ეფუძნება სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკას , რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, ასევე გარემოს მდგრად განვითარებას. იგივე პასუხისმგებლობით გასწევს საქმიანობას ფაკულტეტი საზოგადოებაზე როგორც სოციალური , ისე საგანმანათლებლო და შემეცნებითი ზეგავლენის მოსახდენად თავის კომპეტენციის ფარგლებში.

4. არსებული სიტუაცია და გამოწვევები

4.1. გამოწვევების ანალიზი

აგრარულ ფაკულტეტს, რომელსაც სოფლის მეურნეობის სფეროსთვის პროფესიონალი კადრების მომზადების ნახევარსაუკუნეზე მეტი ტრადიცია გააჩნია, აკადემიური და პროფესიული პროგრამების ფართო სპექტრს სთავაზობდა საზოგადოებას. უკანასკნელ პერიოდში აქტუალური გახდა ისეთი საგანმანათლებლო პრგრამების შეთავაზება, რომლებიც აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობენ სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ამ სფეროში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფაკულტეტი თავის საქმიანობას აწარმოებს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გარკვეულ გამოწვევებს აყენებს ფაკულტეტის წინაშე: ქვეყნის ბაზარზე სპეციალისტების მომზადებაზე მაღალი კონკურენციაა, შეცვლილია გლობალური ბაზრის პირობებიც. გლობალიზაცია განათლების სფეროში ახალ შესაძლებლობებს უქმნის საგანმანათლებლო დაწესებულებებს (მოთხოვნის დივერსიფიკაცია; ფასიან განყოფილებებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ფინანსური შემოსულობების ზრდა, საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება და საკუთარი სტუდენტების სწავლება უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება სტუდენტებისა და პედაგოგების ცოდნის საერთაშორისო გაცვლის პროცესში ჩართვის გზით და ა.შ.). ფაკულტეტმა მხარი უნდა აუბას უნივერსიტეტის ამ გამოწვევებს და თავის კომპეტენციის ფარგლებში განავითაროს ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროგრამები და სასწავლო გარემო, გამოიყენოს საერთაშორისო ურთიერთობები, რომელიც ფაკულტეტს ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების, სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამების, უცხოელი სტუდენტებისათვის სასწავლო კურსების განხორციელებას. ეს უკანასკნელი კი, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა, რადგან შემდგომში შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო ინტეგრაცია უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო, კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში.ჩვენი ქვეყნისა და თავისტავად ცხადია სხვა ქვეყნების უმაღლესი დაწესებულებების ანალგიურმა მიდგომამ დღეისთვის შექმნა ერთიანი მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარი, რომელიც კიდევ უფრო ზრდის გამოწვევების თამასას.ამუშავებულია დისტანციური სწავლების მექანიზმები, უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები სთავაზობენ თავიანთ პროდუქტებს და მომსახურებებს ყველა სტუდენტს, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა და ეროვნულიკუთვნილებისა. ეს კი ნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისევე როგორც საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლები, მუშაობს საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. ის იბრძვის აბიტურიენტებისათვის არა მარტო ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან,არამედ საზღვარგარეთ ის სასწავლებლებთან ან შუამავლებთან, რომლებიც ადგილობრივ ბაზარს სთავაზობენ თავიანთ საგანმანათლებლო პროგრამებს. ცხადია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი დგას ამ გამოწვევი წინაშე, რომელიც ვრცედება ფაკულტეტებზე და თავის მხრივ ფაკულტეტზე წარმოშობს სხვა გამოწვევეს: განსაკუთრებული ყურადრება მიექცეს სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის სრულყოფის ეფექტიანი მექანიზმების ამუშავებასა და სწავლების ახალი, თანამედროვე ფორმების დანერგვას, ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისების აუცილებლობას, როგორებიცაა კორპორატიული მომსახურება, კონსულტირება, კვლევების კომერციალიზაცია და სხვა.

4.2. გარემოს (ჩართული მხარეების) ანალიზი

ფაკულტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი პარტნიორული ურთიერთობებით ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და საწარმოებთან. ძირითად ჩართულ მხარეებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით ფაკულტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან და გაერთიანებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულებთან, მასმედიის საშუალებებთან. სამთავრობო სტრუქტურებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან. აღნიშნული ურთიერთობების განვითარებისას, უნივერსიტეტს და შესაბამისად ფაკულტეტს არჩეული აქვს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობისა და თანამშრომლობის

სტრატეგია.

უდიდესი ყურადღება ექცევა თანამშრომლობას ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან, ქალაქისა და რეგიონის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან მათი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართვის, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების,სამეცნიერო-კვლევითი და სხვადასხვა აქტუალური პროექტების განხორციელების მიზნით. ფაკულტეტი უნივერსიტეტში არსებული უწყვეტი განათლების ცენტრის მეშვეობით უწევს დახმარებას, როგორც საზოგადოების ფართო წრეებს, აგრეთვე რეგიონის ორგანიზაცია-დაწესებულებებს კვალიფიციური კადრების მომზადებასა და გადამზადებაში. ასევე, რეგულარულად წარმოებს შეხვედრები დამსაქმებლებთან მათი საჭიროებებისა და შრომის ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით.

აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით, ფაკულტეტი თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ფაკულტეტი საკუთარი განვითარებისა და სხივისი საჭიროებების გაზიარებისთვის თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ფაკულტეტი აცნობიერებს საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ პასუხისმგებლობას ქალაქისა და რეგიონის წინაშე, წარმატებით ახდენს უნივერსიტეტის მისიის რეალიზებას ფაკულტეტის კომპეტენციის ფარგლებში და რეგიონში წარმოადგენს უნივერსიტეტის, როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-ინტელექტუალურო ცენტრის შემადგენელს.

4.3. SWOT ანალიზი

აგრარული ფაკულტეტი, როგორც ნახევარსაუკუნეზე მეტი პერიოდის გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი სასწავლო ერთეული, წარმოადგენს რა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც ხანგრძლივი აკადემიური ტრადიციის მქონე უმაღლესი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულს, გამოირჩევა მისი ძლიერი და ნაწილობრივ სუსტი მხარეებით.

ძლიერი მხარეები:

- მაღალი ავტორიტეტი და დადებითი იმიჯი უნივერსიტეტში და მის გარეთ;;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალი;
- სფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების პროგრამებისა და ტურიზმის სწავლება ყველა დონეზე;
- სტუდენტებს საშუალება აქვთ თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოიმუშავონ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის , ფაკულტეტის სასწავლო მეურნეობების და სახელშეკრულებო დაწესებულებში განხორციელებული აქტივობებით, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტებით;
- ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების ხელშეწყობა პრიორიტეტულია ქვეყნისთვის
- სახელმწიფოსგან დაფინანსებული სტუდენტების სიმრავლე;
- ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. სასწავლო-კვლევითი მეურნეობების, აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, დარგობრივი მიმართულების რეფერირებადი ჟურნალის და საკმაოდ განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობა;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების მიზნით ფაკულტეტზე მოქმედებს სამეცნიერო კვლევითი პროექტების (შიდა საფაკულტეტო გრანტების) დაფინანსების სისტემა;
- უნივერსიტეტში და შესაბამისად ფაკულტეტზე, სასწავლო პროცესი მიმდნარეობს წინასწარ განსაზღვრული განრიგით და ის მორგებულია სტუდენტის საჭიროებებზე. სწავლა ხორციელდება 2 ცვლაში , რომელიც უზრუნველყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას ყველა დაინტერესებული სტუდენტისთვის.

სუსტი მხარეები:

- მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფაკულტეტი მაინც საჭიროებს თანამედროვე ტექნოლოგიებით და ინვენტარით აღჭურვილ აუდიტორიებსა და ლაბორატორიებს;
- არასაკმარისია ელექტრონული ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამდეროვე მეთოდების გამოყენების მაჩვენებელი;
- მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უცხო ენის მცოდნე პერსონალის შედარებით ნაკლებობა;
- არ არის შეთავაზებული უცხოენოვანი სასწავლო კურსები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი უკეთესის სურვილს ტოვებს;
- საერთაშორისოდონეზეპროფესორ - მასწავლებელთადასტუდენტთამობილობისდონე საჭიროებს მატებას.

შესაძლებლობები:

- სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნეს გარემოს შესწავლა და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა;
- ახალგაზრდა პერსონალის ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობა;
- უცხოენოვანი რამდენიმე სასწავლო კურსის შემუშავება;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება;
- ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;
- ბიუჯეტის შემოსავლების დივერსიფიცირებისათვის ზრუნვის გააქტიურება;
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით;
- ფაკულტეტის განვითარებაში კურსდამთავრებულთა ინტეგრირების ხელშეწყობა;
- დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, გეოპოლიტიკური მდებარეობის და გარემოს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გამოყენება;
- ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების პროფორიენტაციის გაძლიერება ყველა მიმართულებითა და შესაძლებლობებით (რეკლამა ინტერნეტში, ტელევიზიასა და რადიოში, სხვადასხვა დონის შეხვედრები);

საფრთხეები:

- დაგეგმილი კონტინგენტის მიუღებლობა;
- ფინანსური კრიზისის გაღრმავება და მოსახლეობის სოციალური ფონის გაუარესება;
- დემოგრაფიული პრობლემები;
- ფაკულტეტის მიერ განხორციელებად ზოგიერთ პროგრამაზე მოთხოვნის შემცირება ახალი უნივერსიტეტის შექმნით ქუთაისში ან იმერეთის რეგიონში;
- სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების დაარსება;
- საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრება ელექტრონული და დისტანციურის წავლების განვითარების ხარჯზე;
- კონკურენტი საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარობის ზრდა;

- საკანონმდებლო ცვლილებები.

5. სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და შედეგები

დასახული მიზნებისა და ხედვის რეალიზების მიზნით ფაკულტეტის სტრატეგია გამოყოფს 3 ძირითად მიმართულებას. თითოეული მიმართულება მოიცავს სპეციფიურ მოსალოდნელ შედეგებს და მათი მიღწევის გზებს:

1. სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება

სტრატეგიული მიმართულებების მიზნებია:

- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლების ხარისხისა და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება დასახული ხარისხის მიზნების მიღწევისთვის
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა
- კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების მაქსიმიზაცია;
- ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და საკვანძო გარე აქტორების კმაყოფილების უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევების ეროვნულ დონეზე გამოყენება და საერთაშორისო დონეზე აღიარება;

2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება

სტრატეგიული მიმართულებების მიზნია:

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

3. საფაკულტეტო სერვისების და სასწავლო გარემოს განვითარება

სტრატეგიული მიმართულებების მიზნებია:

- სტუდენტების, აკადემიური, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე, მრავალფეროვანი სერვისების დანერგვა და ეფექტიანი განვითარება;
- შშმ პირებისათვის მოთხოვნებზე მორგებული სერვისების მიწოდება

4. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება.

- სასწავლო ლაბორატორიებისა და აუდიტორიების აღჭურვა
- დამოუკიდებელი მუშაობისა და სტუდენტების განტვირთვის კომფორტული სივრცეების შექმნა
- ამოქმედებულია და მუდმივად უმჯობესდება ხარისხისა და სამუშაო პროცესების მართვის განახლებული სისტემა
- განვითარებულია სპორტული და კულტურული გარემო

სტრატეგიას თან ახლავს სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს კონკრეტულ საქმიანობებსა და პასუხისმგებლობებს. მიზნები და მოსალოდნელი შედეგები დაზუსტებულია მიღწევის მაჩვენებლებით, რაც ასახულია სტრატეგიის მონიტორინგის გეგმაში.

1. სტრატეგიული მიმართულება: სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება

აღნიშნული მიმართულება მოიცავს სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებისკენ მიმართულ უმთავრესს ღონისძიებებს და მიმართულია ფაკულტეტის მიზნების შესრულების უზრუნველყოფისაკენ.

შედეგი 1.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლების ხარისხის და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება დასახული ხარისხის მიზნების მიღწევისთვის

თვითშეფასების შედეგების საფუძველზე ჩატარებულია საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია და პროგრამები გაუმჯობესებულია. აღნიშნული მიღწეულია დეკლარირებული კრიტერიუმების საფუძველზე აკადემიური და პროფესიული პროგრამების შეფასებით. გადაწყვეტილება პროგრამების განვითარების შესაძლებლობის შესახებ მიღებულია ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და სხვა საგანმანათლებლო, კვლევით, საჯარო და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და/ან საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, რაც თავის მხრივ გულისხმობს კვლევითი და პრაქტიკული უნარჩვევების კომპონენტის მაქსიმალურ სრულყოფას პროგრამებში. გაუმჯობესებულია სწავლების ხარისხი, შეფასების სიტემა მრავალკომპონენტიანია, გამოყენებულია ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა გაზრდის და შესაბამისი რესურსების მობილიზაციის მიზნით გაძლიერებულია ქვეყნის ფარგლებში სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა (შეიძლება ორგანიზებული იყოს ერთობლივი პროგრამები). გაძლიერებულია ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობა რაც დადასტურებულია კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფით და კვლევითი საქმიანობის შედეგების გამოქვეყნებით.

შედეგი 1.2. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

შემუშავებულია აკადემიური პერსონალის შენარჩუნების, შეფასების, განვითარებისა და კომპეტენციის ამაღლების ხელშემწყობი მექანიზმები ფაკულტეტის მიზნებიდან გამომდინარე. შემუშავებულია შეფასების სისტემაზე დაფუძნებული პერსონალის განვითარების პერიოდული გეგმები და უზრუნველყოფილია მათი განხორციელება. მნიშვნელოვანი აქცენტია გაკეთებული კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების განვითარებაზე, მათ სხვადასხვა პროექტებში ჩართვაზე.

შედეგი 1.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების მაქსიმიზაცია;

შექმნილია კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც საშუალებას იძლევა ფაკულტეტმა კონტაქტი იქონიოს კურსდამთავრებულებთან. ფაკულტეტზე საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით შექმნილია საბჭო, რომელიც კოორდინირებას უწევს დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გამოვლენასა და მოტივირებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობისკენ.

შედეგი 1.4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და საკვანძო გარე აქტორების კმაყოფილების უზრუნველყოფა;

უნივერსიტეტის ეგიდით ფაკულტეტი თანამშრომლობს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიის განხორციელებას, სთავაზობს მას რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პროექტებს სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა აგრობიზნესის სფეროებში, მონაწილეობს საზოგადოებრივ დისკუსიებში. ფაკულტეტი თავის საგანმანათლებლო პროფილის ფარგლებში საზოგადოებას სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას და სანდოობის მაღალი ხარისხის კვლევის შედეგების დანერგვას აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფით.

შედეგი 1.5. ფაკულტეტზე დანერგილია და ფუნქციონირებს სწავლების ეთიკური პრინციპების, პლაგიატის გამოვლინებისა და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის სისტემა

ფაკულტეტის პერსონალი ხელმძღვანელობს აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით. პლაგიატის შემთხვევა საფრთხეს უქმნის მკვლევართა და ფაკულტეტის იმიჯს და ხელს უშლის ფაკულტეტის აკადემიური და პროფესიული მიზნების განხორციელებას. ფაკულტეტზე მოქმედი პლაგიატის გამოვლინებისა და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის სისტემა ამცირებს სამართლებრივ რისკებს ფაკულტეტისთვის.

შედეგი 1.6. სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევების ეროვნულ დონეზე გამოყენება და საერთაშორისო დონეზე აღიარება;

ფაკულტეტეტი კვლევითი პროფილის შესაბამისად, განსაზღვრულია პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებები, რომელთა მიმართებაშიც ფაკულტეტზე წარმოებული კვლევები ეროვნულ და სავარაუდოდ საერთაშორისო დონეზეც კონკურენტუნარიანი იქნება, ფაკულტეტი შეძლებს პარტნიორების დაინტერესებას/მოზიდვას და თანამშრომლობას ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით.მაქსიმალურად გამოყენებული იქნება ფაკულტეტის კვლევითი პოტენციალი შოთა რუსთაველისა და სხვა ფონდებისაგან გრანტების მოზიდვის კუთხით.

ამოქმედებული იქნება კვლევების დაფინანსების შიდასაფაკულტეტოსისტემა, ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა საპროექტო წინადადება, სრულყოფილი იქნება დასაფინანსებლად პროექტების შერჩევისა და განხორციელებული პროექტის შეფასების სისტემა. სტუდენტები მაქსიმალურად იქნებიან ჩართული კვლევით პროექტებში. კვლევის თემატიკები შესაბამისობაში იქნება ფაკულტეტის კვლევით პროფილთან.

2. სტრატეგიული მიმართულება: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება ფაკულტეტის განვითარების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა, რადგან ის წარმოადგენს მძლავრ იარაღს საერთაშორისო დონეზე ცნობადობისა და თვითრეალიზებისთვის. ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონის მიღწევის შემთხვევაში ფაკულტეტს შეექმნებოდა შესაძლებლობები აქტიურად ჩართულიყო საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროცესებში. ფაკულტეტი ისარგებლებს რაუნივერსიტეტის მრავალწლიანი გამოცდილებით საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში, გაითვალისწინებს ხელმისაწვდომ რესურსებს და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით გაერთიანდება ამ მიზნის გარშემო.

შედეგი 2.1. გაძლიერებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის აუცილებელი ქმედებები

საგანმანათლებლო პროგრამებზე საფეხურების დონის მიხედვით გათვალისწინებულია შესაბამისი ცოდნის დონის მიღწევა უცხო ენაში ენების ზოგად ევროპულ ჩარჩოსთან მიმართებაში და შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაინტერესებული პერსონალის ენობრივი კომპეტენციების ამაღლების მექანიზმი. ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის შეძენილია სპეციალიზირებული სასწავლო მასალები და შემუშავებულია უცხო ენათა დიფერენცირებულლი კურსები. უცხო ენის ცოდნის შემოწმება ხდება ფორმალიზებული წესით. კიდევ უფრო ხელმისაწვდომია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უცხო ენის კურსების გავლა უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში.

შედეგი 2.2. გაძლიერებულია საერთაშორისო თანამშრომლობა სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

დანერგილია სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის აქტივობები და საგარეო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან ერთად ხელშეწყობილია კონსულტირება საერთაშორისო პროგრამების თაობაზე, სხვადასხვა საპროექტო განაცხადებისა და მცირე საუნივერსიტეტო გრანტების შესახებ. გაუმჯობესებულია საერთაშორისო სტაჟირების/ მობილობის შესაძლებლობები.აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო ტრენერების მიერ გამართულ ტრენინგებში. შემუშავებულია იმ აკადემიური პერსონალის წახალისების ფორმები, რომლებსაც ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობა აქვთ და მონაწილეობენ საერთაშორისო კვლევებში.

შედეგი 2.3. გაზრდილიასაგანმანათლებლო პროგრამების რიგი სასწავლო კურსების ინტერნაციონალიციის ხარისხი და მათი მომხმარებელი უცხოელი სტუდენტების რაოდენობა

შექმნილია ინგლისურენოვანი რამდენიმე სალექციო კურსი, რომელიც შეთავაზებულიაუცხო ქვეყნის ბაკალავრებისა და მაგისტრებისთვის. დამატებით შეძენილია უცხო ენოვანი სასწავლო ლიტერატურა და განახლებულია საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა.

შედეგი 2.4. გაზრდილია ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო დონის გამოფენებში, ფორუმებსა და კონფერენციებში

ფაკულტეტის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში (გამოფენები, ფორუმები, ტრენინგები, კონფერენციები). აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის უცხოენოვან ვებგვერდზე. (შესაბამისი მასალები შექმნილია ფაკულტეტზე). გაუმჯობესებულიაPR კამპანია ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის გასაშუქებლად.

შედეგი 2.5. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვა ოპტიმალურად მიმდინარეობს და ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირებისა და ინტერნაციონალიზაციაზე მიმართული საქმიანობებისხარისხი უმჯობესდება

ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ პროცესის მართვა უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. აღნიშნულის გათვალისწინებით საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის კოორდინაციითგადახედილია და კრიტიკულად გაანალიზებულია ძველი მემორანდუმები/ხელშეკრულებები და გაფორმებულია ახალი. შემუშავებულია და დანერგილია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შიდა გაზომვის მექანიზმები.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ხდება ინტერნაციონალიზაციის პროცესის მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი; მათ შორის უცხოელი სტუდენტების რეგულარული გამოკითხვა, კმაყოფილების ინდექსის დადგენა და უკუკავშირზე აგებული მომსახურების სისტემის დანერგვა. შესაბამის დეპარტამენტებში ხდება საზღვარგარეთ მივლინებით წასული და დაბრუნებული კოლეგების ანგარიშების მოსმენა და მიღწეული შედეგების გაცნობის მიზნით საჯარო საანგარიშო პრეზენტაციების მოწყობა.სტუდენტების მობილობის შემთხვევაში – საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების სისტემის გაუმჯობესება; დოქტორანტებისთვის– ჩატარებული კვლევის ანგარიშების მომზადება და მათი საჯარო განხილვა;

3. საფაკულტეტო სერვისების და სასწავლო გარემოს განვითარება

სასწავლო გარემოსა და საფაკულტეტო სერვისების განვითარება აუცილებელი პირობაა სტუდენტზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნისა და მოტივირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობისთვის.

შედეგი 3.1. ფაკულტეტზე დანერგილია სტუდენტების, აკადემიური, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე, მრავალფეროვანი სერვისები და ხდება მათი ეფექტიანი განვითარება;

უნივერსიტეტის სიცრცეში ფაკულტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სერვისის მიღება საჭიროებებიდან გამომდინარე. კერძოდ, შექმნილია სტუდენტთა მომსახურების სერვისცენტრები, რომელთა მეშვეობითაც ოპერატიულად ხდება განცხადებების მიღება და მათი დანიშნულების ადგილამდე მიღწევა ელექტრონული სახით, რაც სტუდენტთა მაღალ დონეზე მომსახურების აუცილებელი წინაპირობაა.სტუდენტი იღებს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას დეკანატისა და სასწავლო სივრცეებში მოწყობილი საინფორმაციო დაფებით. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან უწყვეტი ინტერნეტით.ფაკულტეტზე საქმიანობს სტუდენტთა თვითმმართველობისა და სამეცნიერო საზოგადოება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოყენებულია ტუტორებისინსტიტუტი სტუდენტების მეშვეობით. უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის სამსახური გამორჩეული უნარებისა და შესაძლებლობების სტუდენტებს რთავს სხვადასხვა სპორტულ და შემოქმედებით ღონისძიებებში. სტუდენტები სარგებლობენ კორპორაციული ფოსტებით და ელექტრონული დეკანატით, რაც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობასა და სწავლების პროცესის გამჭირვალობას. ფაკულტეტი ფოკუსირებულია სტუდენტების დასაქმების მიმართულებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე.

უნივერსიტეტსშემუშავებული აქვს ხარისხის მართვის ერთიანი კომპლექსური სახელმძღვანელო, რომელიც აერთიანებს უნივერსიტეტის ყველა საკვანძო სამუშაო პროცესს. აღნიშნული სახელმძღანელოს გამოყენებით ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქმიანობათა კოორდინაციას, გამჭირვალობას და იმავდროულად უზრუნველყოფს პროცესებისა და დაგეგმილი შედეგების მუდმივ შეფასებასა და გაუმჯობესებას.

შედეგი 3.2. ხდება სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების განვითარება;

სტუდენტები მხარდაჭერილია ადმინისტრაციისა და შესაბამისი სამსახურების მიერ შიდა, გარე და საერთაშორისო მობილობის, პარტნიორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისოკვლევით თუ სოციალურ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიღებაში და აქტივობის განსახორციელებლად თანადგომაში. უნივერსიტეტში დანერგილია ინტრანეტ/ექსტრანეტ პორტალი, რომელიც მოიცავს სრულყოფილ საინფორმაციო სერვისებს.

შედეგი 3.3. შემუშავებულიადადანერგილიასტუდენტთაკარიერულიგანვითარებისსერვისი

სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისის დანერგვის მიზანია სტუდენტებისათვის სწავლების პერიოდში და სწავლების დასრულების შემდეგ დასაქმების ხელშეწყობა. ამ მიზნით ფაკულტეტზე შექმნილია კარიერული განვითარების ხელშემწყობი საბჭო დამსაქმებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით. უნივერსიტეტში კი შექმნილია კარიერის დაგეგმვის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებლების შესახებ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გავრცელების სისტემის ამოქმედებას, ჩამოყალიბებულია დამსაქმებლების განახლებადიმონაცემთა ბაზადა დანერგილია პოტენციური დამსაქმებლის მოზიდვისა და მოტივაციის სისტემა.

შედეგი 3.4. დანერგილია მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების (LifeLongLearning) სერვისები

მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების სერვისების განვითარების მიზნით ფაკულტეტი თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს,უნივერსიტეტის მიერ ქვეყანაში და რეგიონში მოსახლეობის აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით შემუშავებული

მეთოდოლიგიით ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილი საგანმანათლებლო სერვისების (სემინარები, ტრენინგები, კურსები) მიწოდებას. აღნიშნული სერვისების განვითარების მიზნით ფაკულტეტი განახორციელებს რეგიონში/ქვეყანაში მოქმედ არაფორმალური განათლების მიმწოდებლებთან თანამშრომლობას.

შედეგი 3.5. უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საფაკულტეტო პროცესებში ჩართულობა

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საფაკულტეტო პროცესებში ჩართულობის მიზანია მოხდეს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი პროექტებშიკურსდამთავრებულთა აქტიური ჩართვა ცოდნისა, გამოცდილებისა და მართვის უნარების გადაცემის მიზნით.აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის შექმნილია კურსდამთავრებულთა ქსელი და ფაკულტეტისთვის გამოყოფილი სივრცის ფარგლებში შესაძლებელია მათთან კომუნიკაცია და ურთიერთობის განვითარება. აღნიშნული სერვისი ორიენტირებულია საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებშიკურსდამთავრებულთაჩართულობის უზრუნველყოფისაკენ.კურსდამთავრებულთა წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული ფაკულტეტის განმავითარებელ აქტივობებში.

შედეგი 3.6. უზრუნველყოფილია შშმ პირებისათვის მოთხოვნებზე მორგებული სერვისების მიწოდება

ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა მორგებულია შშმ პირთა მოთხოვნებზე და უზრუნველყოფილია მათი ადაპტირება სასწავლო პროცესთან.

4. სტრატეგიულიმიმართულება: ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება

საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ადაპტირებას და სტუდენტებისა და პერსონალის საჭიროებებზე მორგებას. სტუდენტური ცხოვრების განვითარებისა და სტუდენტების მეტი ჩართულობის მიზნით ძალზედ აქტუალურია გარემო პირობების, მათ შორის დამოუკიდებელი მუშაობის, განტვირთვის სივრცეების გაუმჯობესება და დამატებით ორგანიზება.

შედეგი 4.1. აუდიტორიები განახლებულია თანამედროვეაღჭურვილობითა და ინვენტარით.

შემუშავებულია აუდიტორიების განახლების და ინვენტარის შეძენის ეტაპობრივი გეგმა , რომლის მიხედვითაც ყოველწლიურად განხორციელდება ნაწილი საქმიანობების დაფინანსება.

შედეგი 4.2. ფაკულტეტზე უფრო მეტადაა ხელმისაწვდომი დამოუკიდებელი მუშაობისა და სტუდენტების განტვირთვის კომფორტული სივრცეები

მოხდება გარე და შიდა რეკრეაციული სივრცეების განვითარება, კვების ობიექტის მოწყობა. საბიბლიოთეკო სივრცისაღჭურვა, ტურიზმის მიმართულების განმავითარებელი სასწავლო გარემოს აღჭურვა და სტუდენტთა მოთხოვნებზე მორგებული თანამედროვე ინფორმაციული სერვისებით აღჭურვილი სასწავლოდა სადისკუსიო აქტივობისათვის გამიზნული სივრცის მოწყობა.

შედეგი 4.3. ფაკულტეტზე უფრო მეტადაა ხელმისაწვდომი სასწავლო მასალები

მოხდება ახალი სასწავლო რესურსების შეძენა.განსაკუთრებული ყურადრება მიექცევა აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო მასალის გამოცემის საკითხს, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევითი საქმიანობის სასწავლო პროცესში ინტეგრაციას.

სამოქმედო გეგმა

შედეგები	წელი							ინდიკატორები
	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	
შედეგი 1.1	X	X	X	X	X	X	X	თვითშფასების ანალიზი და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები; კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფა და კვლევითი საქმიანობის შედეგების გამოქვეყნების მაჩვენებელი
შედეგი 1.2	X	X	X	X	X	X	X	პერსონალის განვითარების პერიოდული გეგმები, მათი საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების მაჩვენებელი
შედეგი 1.3	X	X	X	X	X	X	X	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი/დინამიკა
შედეგი 1.4	X	X	X	X	X	X	X	რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტებ**ი,** დანერგილი კვლევის შედეგები,საზოგადოებისთვისგაწეული კონსულტაციები
შედეგი 1.5	X	X	X	X	X	X	X	ფაკულტეტზე მოქმედი პლაგიატის გამოვლინებისა და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის სისტემა
შედეგი 1.6	X	X	X	X	X	X	X	საგრანტო კვლევითი პროექტები, პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, კვლევებში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი
შედეგი 2.1		X	X	X	X	X	X	პერსონალის ენობრივი კომპეტენციების ამაღლებულთა რაოდენობა,
შედეგი 2.2	X	X	X	X	X	X	X	აკადემიური პერსონალი მონაწილეობის მაჩვენებელი საერთაშორისო ტრენერების მიერ გამართულ ტრენინგებში, საზღვარგარეთ გრძელ და მოკლე ვადიან მობილობაში მონაწილეთა რიცხვი (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები)
შედეგი 2.3		X	X	X	X	X	X	უცხოენოვანი სალექციო კურსი, უცხოელ სტუდენტთა რიცხვი
შედეგი 2.4	X	X	X	X	X	X	X	საერთაშორისო ფორუმებში/გამოფენების/კონფერენციებში

								მონაწილეობის მაჩვენებელი
შედეგი 2.5		X	X	X	X	X	X	უცხოელი სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, კმაყოფილების ინდექსი.საზღვარგარეთ მივლინებით წასული და დაბრუნებული პერსონალის/ სტუდენტების შედეგების ანგარიში/ პრეზენტაცია ,
შედეგი 3.1	X	X	X	X	X	X	X	გამოკითხვის შედეგები სტუდენტების, აკადემიური, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ფაკულტეტზე არსებული სერვისების გამოყენების და ამ სერვისებით კმაყოფილების შესახებ
შედეგი 3.2	X	X	X	X	X	X	X	გამოკითხვის შედეგები საინფორმაციო სერვისებით კმაყოფილების შესახებ
შედეგი 3.3	X	X	X	X	X	X	X	ფაკულტეტზე არსებული კარიერული განვითარების ხელშემწყობი საბჭოს საქმიანობა, დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა
შედეგი 3.4	X	X	X	X	X	X	X	მოსახლეობის აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე ჩატარებული სემინარები, ტრენინგები და კურსები. რეგიონში/ქვეყანაში მოქმედ არაფორმალური განათლების მიმწოდებლებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები
შედეგი 3.5								კურსდამთავრებულთა წარმომადგენლების ჩართულობის მაჩვენებელი ფაკულტეტის განმავითარებელ აქტივობებში,
შედეგი 3.6	X	X	X	X	X	X	X	შშმ-ზე მორგებული სერვისების არსებობა
შედეგი 4.1		X	X	X	X	X	X	განახლებული აუდიტორიები, თნამედროვე ინფრასტრუქტურით
შედეგი 4.2		X	X	X	X	X	X	დამოუკიდებელი მუშაობისა და სტუდენტების განტვირთვის კომფორტული სივრცეების არსებობა